საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გოგა კიკილაშვილი</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 09.07.2025
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს ლევან ნემსაძის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის
თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის

ლევან ნემსაძის
კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების დასაბუთება

„საბჭოს“ 2025 წლის 10 აპრილის N1/35 განკარგულებით, დაიწყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი პროცედურა, უზენაესი სასამართლოს მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევად.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-8 და მე-10 პუნქტებით დადგენილი წესით, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ ჩაატარა ,კანდიდატის საჯარო მოსმენა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1]-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი განკარგულების საფუძველზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენი კანდიდატების შერჩევის შემდგომ ეტაპზე გადავიდა 1 კანდიდატი: ლევან ნემსაძე.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] -ე მუხლის მე-13 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს ღია სხდომაზე ჩატარდა კენჭისყრა, რა დროსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენად მხარი დაუჭირე ლევან ნემსაძის კანდიდატურას.

კანდიდატის მიერ წარმოდგენილი და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ მოძიებული ინფორმაციის, აგრეთვე კანდიდატთა საჯარო მოსმენის შედეგების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს.

ჩემ მიერ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატი შეფასებულია 90 ქულით, რაც „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35[1]-ე მუხლის მე-17 პუნქტით განსაზღვრული მაქსიმალური შეფასების 90%-ს შეადგენს.

საჯარო მოსმენის ფორმატში კანდიდატმა გამოავლინა კანონმდებლობის, ასევე ქართული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის სიღრმისეული ცოდნა და მოსამართლისთვის საჭირო უნარები, რის გათვალისწინებითაც მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის მიმართ მოქმედ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და სტანდარტებს.

კანდიდატმა საერთო რეიტინგში დაიკავა პირველი ადგილი.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს საქართველოს უზენაესის სასამართლოს მოსამართლეობისაკენ აუცილებელ მოთხოვნებს და მხარს ვუჭერ მის კანდიდატურას საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენად.

გოგა კიკილაშვილი ხელმოწერა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი

_09_ / _07_ / 2025